ქ.თბილისის საკრებულოს აპარატი
STAFF OF TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ.: 2 98 29 32
10,LERMONTOVI ST,0105 TBILISI, GEORGIA;TEL:(+995 32) 2 98 29 32

№07/5968 "19" სექტემბერი 2013 წ.

შპს "თბილისის ხედი" დირექტორს

მისამართი: კოჯრის ახალი გზა №7

თქვენი 2013 წლის 11 სექტემბრის №07/5968 წერილის პასუხად, გიგზავნით "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №14-43 გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლს.

დანართი: 8 ფურცელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გ.გოგია

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება №14-43

„17“ სექტემბერი 2013 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (38 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში, მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 38 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჟ. შარტავას ქ. №6-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.13.021.001) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ითა და პირიქით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №27), მოქ. ნ. მოსულიშვილი.

2. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევის №23-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.16.06.063.041) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-ს, საცხოვრებელ ზონა 5-ს და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 და საცხოვრებელი ზონა 5 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2013 წლის ოქმი №27), მოქ. ლ. ბახტაძე.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლებასაცხოვრებელი ზონა 6-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. გ. გვიჩია.

10. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, პატარძეულის შასახვევის №45-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.038.031-ის მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.

სატრანსპორტოზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. ბ. გაბათაშვილი.

11. ქ. თბილისში,ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №72-ის მიმდებარედ, ტროლეიბუსების დეპოს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.14.03.038.030) და მის მიმდებარედ დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონებს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ითა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. თ. ერიაშვილი.

12. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №25-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.10.15.010.018) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. ი. ჩირაძე.

13. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის შესახვევის II №19, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.18.06.011.019; 01.18.06.011.036) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 5-სშორის.

საცხოვრებელი ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 5-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. ნ. სიხარულიძე.

14. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯრის ახალი გზის №10-ში არსებული მიწის ნაკვეთისა (საკადასტრო კოდი: №01.15.07.007.030) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1იცვლება საცხოვრებელი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2013 წლის ოქმი №28), მოქ. ვ. აბრამიშვილი.

15. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კურნატოვის ქ. №23-ში და მის მიმდებარე მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.074.008 და მის მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.